

ქ.თბილისი

28.04.2020

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ბექაურს

განცხადება

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლისა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ გასული წლის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. შპს „რადიოცენტრი პლუს“-ის დაფინანსების წყარო(ებ)ს გასულ წელს წარმოადგენდა შემოსავლები რეკლამიდან, საშუაშაგლო მომსახურება და კაპიტალი.
2. შპს „რადიოცენტრი პლუს“-ის თვითრეგულირების ორგანოში გასულ წელს მიღებულ იქნა 0 საჩივარი.
3. შპს „რადიოცენტრი პლუს“-ის მიერ გასულ წელს ადგილი არ ჰქონია სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობების დარღვევას. კომპანიის მიერ განხორციელებულია საქმიანობა კანონმდებლობისა და სამაუწყებლო კონცეფციის დაცვით.
4. მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევას გასულ წელს ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულ დარღვევათა პრევენციის მიზნით, მუდმივად ტარდება შეხვედრები და ხდება თანამშრომელთა ინფორმირება კანონის სიახლეების შესახებ, ასევე სფეროში არსებული პრაქტიკის ანალიზი მაუწყებლის თანამშრომელთა შორის.
5. მაუწყებელი ყოველ კვარტალში უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას, ტარდება შიდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, მედიათეკის, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე/ ასევე მაუწყებელი ინფორმაციას აწვდის თანამშრომლებს საჯარო ლექციების შესახებ, რომლებსაც ესწრებიან თანამშრომლები. ჩატარდა ასევე შიდა ტრენინგი მულტიმედია ჟურნალისტიკის მიმართულებით.

წინამდებარე წერილს დანართის სახით თან ერთვის აუდიტის დასკვნა.

ინგა დადიანი

შპს „რადიოცენტრი პლუს“-ის დირექტორი

